ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ, ს.კ. 01.19.20.002.026;
კლინიკის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები



ქ. თბილისი 2025 წელი

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ, ს.კ. 01.19.20.002.026;
კლინიკის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ინდივიდუალური მეწარმე
“ზ. დევდარიანი” ზ. დევდარიანი

ინჟინერ-გეოლოგი ზ. დევდარიანი

სარჩევი

№	მასალების დასახელება	ფურცელი №№
1	2	3
	I ტექსტური ნაწილი	
1.	ტექნიკური დავალება	1 ფურცელი
2.	საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში (დასკვნა)	16 ფურცელი
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
3.	წყლის სინჯის ლაბორატორიული კვლევის შედეგები	4 ფურცელი
3.	თიხოვანი და კენჭნაროვანი გრუნტის ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი-დანართი №1, №2;	2 ფურცელი
4.	ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების შედეგების სამუშაოს ანგარიში	4 ფურცელი
5.	ფოტომასალა – 10 სურათი	10 ფურცელი
	III გრაფიკული ნაწილი	
6.	საკვლევი უბნის ორთოფოტო მასშტაბით 1:500-თან, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზის დატანით	1 ფურცელი
7.	ჭაბურღილების, სვეტებისა და საკვლევი უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.	5 ფურცელი

ტექნიკური დავალება
საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – კლინიკის პროექტი;

დამკვეთი – შპს "ავერის კლინიკა";

ობიექტის მდებარეობა – ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ; ს.კ. 01.19.20.002.026;

დაპროექტების სტადია – მუშა დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი –ახალი მშენებლობა;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II კლასი;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

პროექტის მიხედვით, დასაპროექტებელი კლინიკა იქნება: 7 მიწისზედა და -2 მიწისქვეშა სართულით, ზომები მიახლოებით: 29.5 X 37.5 მ.

შენობის ტიპი – შერეული, რ/ბეტონი და ლითონის კონსტრუქციები.

საძირკვლები სავარაუდო: ფილა ან ბურღვით ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლები;

საძირკვლების მასალა - რკინაბეტონი;

საძირკვლების ჩაღრმავება - დადგინდება საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დამთავრების შემდეგ.

დატვირთვა საძირკვლებზე – 10 000 კნ-მდე;

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დოკუმენტაცია გადმოგვეცეს აკინძული 2 ეგზემპლიარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა მასშტაბით 1:500-თან

დავალება გასცა:

მიწერილობა

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ, ს.კ. 01.19.20.002.026; კლინიკის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის) პ.1.19 და პ 1.22-ის მეორე შენიშვნის, აგრეთვე პ.ნ. 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) მოთხოვნების საფუძველზე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მიზანია კლინიკის პროექტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დადგენა და გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის დაფუძვნების საკითხის გადაწყვეტა.

დასახული მიზნების მისაღწევად ჩატარებული იქმეს შემდეგი სახის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები:

- მოპოვებული და შესწავლილი იქნეს ხელთარსებული საფონდო მასალები;
- საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, დასაპროექტებელი შენობის საპროექტო არეალში გაყვანილი იქნეს 4 ჭაბურღილი, ძირითად ქანებამდე, გამოუფიტავი ზონის გაბურღვა მოხდეს 2.00-იდან 4.00 -მდე, ს.ნ და წ. 1.02.07-87 პ.3.75-ის შესაბამისად.

ბურღვა ჩატარდეს მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ბურღვის პროცესში, ლაბორატორიული გამოკვლევისათვის აღებული იქნეს გრუნტის ნიმუშები, ს.ნ და წ. 1.02.07-87 პ.3.75-ის შესაბამისად.

გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში ქიმიური ანალიზისათვის აღებული გრუნტის წყლის სინჯები, ბეტონის მიმართ აგრესიულობის ხარისხის განსასაზღვრავად.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა) იმავე ს.ნ და წ. მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს ორ ეგზემპლიარად, შესრულდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

ინდივიდუალური მეწარმე
“ზ. დევდარიანი” ზ. დევდარიანი

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ, ს.კ. 01.19.20.002.026; კლინიკის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

I შესავალი – შპს „ავერსის კლინიკი“-ს დავალებით, ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიან“-მა, 2025 წლის 15-16 ნოემბრს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ; ს.კ. 01.19.20.002.026; კლინიკის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი:

- საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- დასაპროექტებელი კლინიკის მშენებლობისათვის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა;

დასაპროექტებელი კლინიკის მშენებლობისათვის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

დასახული მიზნების მისაღწევად ჩატარებული იქნა შემდეგი სახის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები:

- მოპოვებული და შესწავლილი იქნა ხელთარსებული საფონდო მასალები;
- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პ.ნ 02.01-08 მოთხოვნათა გათვალისწინებით, კლინიკის მშენებლობისათვის, კონტურის ფარგლებში, თვითმავალი საბურღი დანადგარით “უგბ-1ვს”, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაბურღული იქნა 4 ჭაბურღილი (№№1-4). ჭაბურღილების საერთო მეტრაჟი შეადგენს 60.0 გრძივ მეტრს.

ჭაბურღილების სიღრმე გამოწვეულია სნ და წ 1.02.07-87-ის პუნქტი 3.64-ის ცხრილი №37-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ძირითადი ქანების წოლის სიღრმით.

- ლაბორატორიული შესწავლისათვის, ჭაბურღილებიდან, სხვადასხვა სიღრმიდან, აღებულია წყლის სინჯის ნიმუში,

დარღვეული და დაურღვეველი გრუნტის ნიმუში, აქედან 3 ნიმუში თიხოვანი, 2 კენჭანროვანი გრუნტიდან, ხოლო 2 ნიმუშიც ძირითადი ქანებიდან, რომლის კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას გრუნტის ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილის (დანართი №1, №2), აგრეთვე ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების სამუშაოს ანგარიშის სახით.

- გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი ჩატარდა ინჟინერ ქიმიკოსის თ. მიქავას ხელმძღვანელობით. გრუნტების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს "გეოინი" ნ. ხმელიძის ხელმძღვანელობით. ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების სამუშაოს ანგარიშის სახით. გრუნტების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ნ. სადრაძის ხელმძღვანელობით. შემდეგი სნ და წ და სტანდარტების მიხედვით:
- - ფიზიკური თვისებები - სტანდარტი 51.80-84;
- - სიმტკიცის მახასიათებლები - სტანდარტი 12.248-78
- - დეფორმაციის მახასიათებლები - სტანდარტი 23.408-79
- - გრუნტის კლასიფიკაცია - სტანდარტი 25.100-82
- - გრუნტის საანგარიშო წინაღობა R_oსნ და წ (პნ 02.01-08)
- - ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით - სტანდარტი 20.522.75.
- ტოპოგეგმად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო გეგმა, მასშტაბით 1:500-თან.
- საველე სამუშაოები ჩაატარა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა ზ. დევდარიანმა.

II- საინჟინრო გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადოებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე), ჩატარებულია 1985-1900 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომაში (1970 წ).

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წელი), დ. წერეთელს (1886 წელი) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში

დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

III- კლიმატი

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოყენებულია მეტეოსადგურების მონაცემები და მოყვანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

IV-ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდინარე მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია მდ. ვერე და დიღმისწყალი, ხოლო მარცხენა შენაკადიდან მდ. გლდანულა.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვარობა, რომელიც გამოიხატა ორი ძირითადი ტიპის და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და

ჩრდილო-დასავლეთით მთიან ნაწილში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვაროვანია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენა ნაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

მარცხენაპირეთის შემოგარენი უფრო დაბალია, უმეტესად ჩამოყალიბებულია გორაკ-ბორცვანი რელიეფი, რომლებიც მდინარეებით ნაკლებად არის დაღარული.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ძირითადად აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი შემოგარენი აგებულია მესამეულ ასაკის ტერიგენული და ტუფოგენურ ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეული (მდინარეულ და ტბურ) ნალექებს.

მარჯვენა ნაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედა ეოცენურ დანალექებს, რომლებიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. აქ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების

დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები, უხეშშრეებრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფრით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთის და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით.

თბილისის და მის მიდამოებში ფართოდ არის გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიური, დელუვიურ-პროლივიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. დელუვიური და დელუვიურ-პროლივიური ნალექები, რომლებიც მეტწილად თიხნარების, თიხების და ლაოსისებრი თიხებისაგან შედგება, გავრცელებულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირეთში და სხვადასხვა სიმძლავრისაა. ტბიური ნალექები განვითარებული კუმისისა და ლისის ტბის ქვაბულში, აგრეთვე გავრცელებულია ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე.

თბილისისა და მის მიდამოებს რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტო-ქედებზე. თბილისის მეწყრები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (აკად. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიან, ნაპრალოვან და ნაპრალოვანიკარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის

კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლების გამოვლინებები.

უშუალოდ საკვლევ უბანზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი არ არის. ზედაპირული წყლები მხოლოდ წვიმისა და თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და ფართობულ ხასიათს ატარებს.

V. საინჟინრო გეოლოგიური პირობები

ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადად კარგად შესწავლილია. არსებობს 600 000 მასშტაბის საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, გეოტექტონიკური, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკები და განმარტებითი ბარათები.

სხვადასხვა დროს საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებია ჩატარებული, მაგრამ არსებული მასალები საკმარისი არ არის მშენებლობისათვის გამოყოფილ ცალკეული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასახასიათებლად. კვლევები აუცილებელია, რადგან არსებული მასალა ვერ უზრუველყოფს დეტალურობის საჭირი ხარისხს.

საკვლერვი უბანი მდებარეობს ქალაქი თბილისი, ვარკეთილი II მ/რ; ს.კ. 01.19.20.002.026;

საკვლევი უბნის საზღვრებია:

- ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება – ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა;
- დასავლეთის მხრიდან და სამხრეთის მხრიდან – ასფალტის გზა;
- აღმოსავლეთიდან მხრიდან - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

საკვლევი უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს მახათის მთის სამხრეთ ფერდზე, მის განაშენიანებულ ნაწილში, რომელიც ნარნარად გადადის მტკვრის ჭალისზედა II (ავლაბრის) ტერასაზე. უბანი ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზეა განთავსებული, მცირეოდენი დახრით დასავლეთისაკენ. უბნის აბსოლუტური მნიშნველობები 498.0 – 502.7 მ-ის ფარგლებში იცლვება. ტექტონიკური თვალსაზრისით ტერიტორია მოთავსებულია მამადავითის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე, რომელიც ამ ნაწილში აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ღიანაცრისფერი თიხოვანი ქვიშაქვებით და არგილიტებით.

საკვლევი უბანი გაუნაშენებელია და დაფარულია წინა წლებში დემონტაჟის შედეგად დარჩენილი სამშენებლო ნარჩენებითა და ნაყარი გრუნტის ფენით.

საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

ა.ნ 01.05-08-ის (“სამშენებლო კლიმატოლოგია”) თანახმად, სამშენებლო უბნის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა - $+12.3^0C$;
- ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი - -24^0C;
- ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმი - $+40.0^0C$;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში - 550.0 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 37.0 მ/წ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0.73 კპა; 15 წელიწადში ერთხელ - 0.85 კპა;
- ქარის გაბატონებული მიმართულება - ჩრდილოეთის;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14;
- გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე -23 სმ.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია გეოლოგიური გამონამუშევრების სვეტების და უბნის ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის 1.00-2.50 მეტრის სიღრმიდან 8.50-10.00 მეტრის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური (dpQ_{IV}) ნალექები წარმოდგენილი ყავისფერი მიკროფორული, მყარპლასტიკური კონსისტენციის, ხვინჭის და ღორღის 20%-მდე მინარევიანი თიხნარები (ფენა 2), მიწის ზედაპირიდან 8.50-10.00 მეტრის სიღრმიდან 11.00-13.00 მეტრ სიღრმემდე, გავრცელებულია ალუვიური (aQ_{IV}) ნალექები, წარმოდგენილი კენჭნაროვანი გრუნტით, კაჭარ-კენჭნარი, ქვიშნარის შემავსებლით 20%-მდე (ფენა 3). კენჭნაროვანი გრუნტის ჩონჩხური მასალა კარგად დამუშავებულია, გვხვდება დაუმუშავებელი ფრაქციებიც,

წარმოდგენილია მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანებით. მიწის ზედაპირიდან 11.00-13.00 მეტრის სიღრმიდან, გამოკვლეულ 15.00 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია ზედა ეოცენური (P_3^{2-3}) ასაკის ძირითადი ქანები – თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. (ფენა 4).

ქვიშაქვები მუქი სერი ფერისაა, თხელშრეებრივი, წვრილ და საშუალო მარცვლოვანია, თიხოვან ცემენტზე, არგილიტები მუქი ყავისფერი, მოშავო ფერისაა, ფირფიტისებრი აღნაგობის. ქვიშაქვები და არგილიტები ურთიერთმონაცვლეობენ, მათი შეფარდება გეოლოგიური ჭრილში 60/40-ზეა. საკვლევ უბნის მიმდებარედ არსებული გაშიშვლებაზე მოხდა ძირითადი ქანების წოლის ელემენტების გაზომვა.

ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია:

- მიმართების აზიმუტი ჩრდილო-დასავლეთის 340^0;
- დაქანება სამხრეთ-დასავლეთის 250^0;
- დახრის კუთხე - 25^0.

ყოველივე ზემოთაღწერილი ნალექები ზემოდან გადაფარულია 1.00-2.50 მეტრის სიმძლავრის ნაყარი (tQ_{IV}) გრუნტით, (ფენა 1). – გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია მოყვითალო - მოყავისფრო თიხნარებით, კენჭების ჩანართებით. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმკვრივე საფონდო მასალების მიხედვით ρ - 1,80 ტ/მ^3, ფენა უწყლოა.

გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება მახათის მთის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. უბანზე ჩვენს მიერ გაყვანილმა ოთხივე გამონამუშევარმა გახსნა წყალი 8.5-10.00 მ -ზე. დამყარებული დონეები 7.5-9.5 მეტრია. წყლები ქიმიური შედგენილობის მიხედვით ჰიდროკარბონატულ – სულფატურ-კალციუმ- ნატრიუმ-კალიუმ-მანგანუმიანია, საერთო მინერალიზაციით 3.15 გ/ლ. წყალი საშუალოდ და ძლიერ აგრესიულობას ავლენს სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეღწევადი მარკის ბეტონის მიმართ, არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა - ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის დროს, საშუალოდ აგრესიულია პერიოდულად დასველების დროს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უბანზე გავრცელებულ თიხნაროვან (ფენა 2) გრუნტიდან, აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილი იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში, რომელზედაც ლაბორატორიაში განსაზღვრული იქნა გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და რომლის კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას გრუნტის ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ ცხრილი 1-ში მოცემულია თიხნაროვანი გრუნტის (ფენა 2) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ლაბორატორიულად მიღებული სიდიდეების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებული სიდიდეების ცვალებადობის დიაპაზონი	საშუალო არითმეტიკული (ნორმატიული) მნიშვნელობა
1.	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	0.10-0.12	0.11
2.	ტენიანობა		W	%	19.2-22.2	20.7
3.	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1.93-2.00	1.98
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.60-1.66	1.65
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.71	2.71
4.	ფორიანობა		n	%	39-41	40
5.	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.632-0.694	0.663
6.	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	<0	<0
7.	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.77-0.87	0.83

როგორც ცხრილიდან ჩანს, შესწავლილი ფენა 2-ის გრუნტი, პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით თიხნარია ($\bar{I}_P = 0.11$), მყარი კონსისტენციის ($I_L =< 0$), ტენიანობის ხარისხის სიდიდე $\overline{S}_r = 0.83$, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გრუნტის ფორები ნაწილობრივ შევსებული წყლით.

ტენიანობა $W = 19.2 - 22.2 (\overline{W} = 20.7)\%$ ფარგლებშია, ფორიანობა $n = 39 - 41 (\bar{n} = 40)\%$-ის ფარგლებში, ფორიანობის კოეფიციენტის $e = 0.632 - 0.694$ $(\bar{e} = 0.663)$ მნიშვნელობის დროს.

როგორც შესავალ ნაწილში იქნა აღნიშნული, საკვლევ უბანზე გავრცელებული ფენა 3-ის კენჭნაროვანი გრუნტიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში, რომელზედაც განსაზღვრული იქნა ფენის სიმკვრივე და გრანუმეტრიული შემადგენლობა. ფენის სიმკვერივემ შეადგინა $\overline{\rho} = 2.0$ გ/სმ^3, ხოლო გაცხავების შედეგად 2 მმ-ზე მეტი ნაწილაკების შემადგენლობა 78.8%-ია, ნაკლების კი 21.2%, პლასტიკურობის ზღვარი არ აქვს. ბუნებრივი ტენიანობა $\overline{W} = 15.8\%$, ფორიანობა $\overline{n} = 0.34\%$, ფორიანობის კოეფიციენტის $\overline{e} = 0.537$ მნიშვნელობის დროს. ფენისთვის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები მოყვანილი იქნება საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

ცხრილში მოცემული ფენა 3-ის ფიზიკური მახასიათებლების საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები საჭიროებისას გამოიყენება საანგარიშოდ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკვლევ უბანზე გავრცელებული ძირითად ქანებიდან, აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში (მონოლითი), გამოფიტული ძირითადი ქანებიდან, რომელზედაც განსაზღვრული იქნა სიმკვრივე და სიმტკიცის ძვრის ნორმატიული მნიშვნელობები ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები

	ფენა 4
სიმკვრივე ρ გ/სმ^3	2.48
სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c\pi}$ მპა (კგძ/სმ^2)	49.4(494.0)
დეფორმაციის მოდული;	$E = 10849.2$ მპა;
დარბილების კოეფიციენტი	$K_{sof} = 0.70$

პნ 01.01-08 დანართი 1 ცხრილი 1-ის თანახმად ქვიშაქვები მიეკუთვნება საშუალო სიმტკიცის კლდოვან გრუნტს, ხოლო არგილიტები ნახევრადკლდოვანს, რადგანაც არგილიტები წყალში იშლებიან (დარბილების კოეფიციენტი $F_კ = 0.70 < 0.75$), მიღებული სიდიდეები უნდა შემცირდეს 40%-ით და მოყვანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან როგორც გამოკვლეულ უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ და წ 02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას – საშუალო სირთულის. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცემული “ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასე”-ს მიხედვით ტერიტორია ხვდება დაბალი რისკის ზონაში. ტერიტორიაზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური(ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენები, მშენებლობისა და ნაგებობის შემდგომი ექსპლოატაციისთვის არახელსაყრელი პროცესები არ ფიქსირდება. ტერიტორია მდგრადია და “დამაკმაყოფილებელ” პირობებში იმყოფება.

2. სამშენებლო მოედნის გეოლოგიური ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე).

I ს.გ.ე – თიხნარი (ფენა 2);

II ს.გ.ე – კენჭნარები, ქვიშის შემავსებლით; (ფენა 3).

III ს.გ.ე - გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4).

3. დასაპროექტებელი კლინიკის პროექტის ტექნიკური მახასიათებლებიდან და სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, ფუძე გრუნტებად მიღებული შეიძლება იქნას I ან III საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის ფენა 2ის და ფენა 4-ის თიხნაროვანი გრუნტი ან გამოფიტული ძირითადი ქანები.

საძირკვლების ტიპად მიღებული იქნეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი საძირკვლები, ფილა ან ბურღით ნატენი ხიმინჯოვანი საძირკველბი.

4. დასაპროექტებელი კლინიკის მოწყობა (მშენებლობა და ექსპლუატაცია) მომავალში არ გამოიწვევს რაიმე სახის უარყოფით ლოკალურ ფიზიკო-გეოლოგიური პროცესების (ლოკალური მეწყერი, ჩაქცევები და სხვა) განვითარებას და არ საჭიროებს დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური ღონისძიებების გატარებას.

5. ქვემოთ ცხრილ №2-ში მოცემულია სამივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის აუცილებელი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, პნ 02.01-08 დანართი 2 ცხრილი 2 და 3, დანართი 3 ცხრილი 1 და 3-ის საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე.

№№	გრუნტის მახასიათებლები	ცხრილი 2		
		I სგე (ფენა 2)	II სგე (ფენა 3)	III სგე (ფენა 4)
1.	სიმკვრივე ρ- გ/სმ^3;	1.98	2.00	2.48
2.	შინაგანი ხახუნის კუთხე φ^0	17	40	29.0
3.	ხვედრითი შეჭიდულობა Cკპა(კგძ/სმ^2)	30 (0.30)	3 (0.03)	11.0
4.	დეფორმაციის მოდული Eმპა(კგძ/სმ^2)	12.9 (129)	40 (400)	10849.2
5.	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0- კპა (კგძ/სმ^2);	220 (2.2)	450 (4.5)	=
6.	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c\pi}$ მპა (კგძ/სმ^2)	-	-	49.4 (494.0)
7.	საგების კოეფიციენტი K-კგ/სმ^3	30	7.0	100
8.	პუასონის კოეფიციენტი μ	0.42	0.27	0.25

6. პროექტირებისას მხედველობაში მიღებულ იქნეს გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0.22 მეტრის ტოლია.

7. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი გამოკვლეულ 15.00 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით (ნოემბერი, 2025). მიწისქვეშა სართულის კედლების ზედაპირული წყლებიდან დასველების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტით გათვალისწინებულ იქნეს წყალამრიდი სამუშაოების ჩატარება და მოხდეს ჰიდროიზოლაცია. გრუნტის წყლის სეზონური ცვალებადობის მაქსიმალურად აწევის დონედ მიღებული იქნეს ±0.50 მ, კვლევის დროს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით.

8. პ.ნ 01.01-09-ის "სეისმომედეგი მშენებლობა" თანახმად ქალაქი თბილისი მდებარეობს 8 ბალიან სეისმურობის ზონაში. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, სამშენებლო მოედანი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო უბნის სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი.

9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნას ს.ნ და წ 3.02.01-87-ის პ.პ. 3.11; 3.15 და ს.ნ და წ III -4.80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს ს.ნ და წ 3.02.01-87 პ.პ.3.11; 3.12; 3.15 და ს.ნ და წ III -4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები ს.ნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერტციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ№24^ა).

ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ^3. (რ№33ვ)

გ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – IV ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით – 2000 კგ/მ^3 (რიგ№6ბ).

დ) გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) - ხელით VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით - 2330 კგ/მ^3 (რვუტოლებთ 28^ბ).

ინჟინერ-გეოლოგი ზ. დევდარიანი



ფოტო-მასალა










ბორ. 1
8.5მ
მყარი


3.0 ft
9.0 ft
7.0 ft
5.0 ft


13.0
15.0




Nov 15, 2025 09:46:05
12 Imeda Kakhniashvili Street
Isani-Samgori
T'bilisi
Tbilisi


Nov 15, 2025 10:15:03
Isani-Samgori
Tbilisi


Nov 15, 2025 10:12:58
Isani-Samgori
Tbilisi






Nov 15, 2025 10:32:39
Isani-Samgori
Tbilisi


Nov 15, 2025 10:32:36
Isani-Samgori
Tbilisi

შპს წყალი და გრუნტი
ს/კ 436046574
ტელ.: +995 577 75 48 92
ელ-ფ: infowaterandsoil@gmail.com

WATER AND SOIL LLC
I/C 436046574
TEL.: +995 577 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

საანალიზოდ გადმოცემული წყლის სინჯი აღებულია თბილისში, ვარკეთილის II მ/რ -ის (ს/კ 01.19.20.002.026) მიმდებარე ტერიტორიაზე.

საერთო მინერალიზაციის სიდიდით, რომელიც $M = 3.15$ გ/ლ ტოლია, სინჯი მლაშე, მარილიანი წყლების ($M > 3$ გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ქიმიური შედგენილობით სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიან ტიპს წარმოადგენს. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($pH = 7.18$).

აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი წყლის სინჯი სულფატების შემცველობის მხრივ პორტლანდცემენტის მარკის ბეტონის მიმართ „ძლიერ“ და „საშუალო“ აგრესიულობას ავლენს წყალშეღწევადობის შესაბამისად, ხოლო შლაკოპორტლანდცემენტის და სულფატმედეგი მარკის ბეტონის მიმართ აგრესიულობას არ ავლენს. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – “საშუალო”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

ანალიტიკოსი Tamar Mikava 51001030421 Digitally signed by Tamar Mikava Date: 2025.11.27 01:05:49 თ. მიქავა

შპს წყალი და გრუნტი
ს/კ 436046574
ტელ.: +995 577 75 48 92
ელ-ფ: infowaterandsoil@gmail.com

WATER AND SOIL LLC
I/C 436046574
TEL.: +995 577 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი

სინჯის აღების ადგილი		თბილისი, ვარკეთილის II მ/რ ქუჩა #1, კლინიკის პროექტი (ს/კ 01.19.20.002.026)			
წყალპუნქტის ტიპი		სინჯის აღების სიღრმე- 8.3 მ		სინჯის აღების თარიღი	15.11.2025
იონები	აბსოლუტური შემცველობა, გ/ლ	მგ.ექვ./ლ	მგ.ექვ./ლ, %	სხვა მონაცემები	
1	2	3	4	5	
კათიონები				**ფერი:** გამჭვირვალე **სუნი**: უსუნო **გემო**: მლაშე, მარილიანი **ტემპერატურა** (ლაბ.)**: 15.4ºC**	
$(Na+K)^+$	0.225	9.800	21	**წყალბად-იონების კონცენტრაცია PH:**	7.18
Ca^{2+}	0.589	29.450	64	**მშრალი ნაშთი:**	3.03 გ/ლ
Mg^{2+}	0.083	6.900	15	**საერთო სიხისტე:**	36.35 მგ.ექვ./ლ;
ჯამი	**0.897**	**46.15**	**100**	**კარბონატული:**	1.9 მგ.ექვ./ლ;
ანიონები				**მუდმივი:**	34.45 მგ.ექვ./ლ;
				თავისუფალი CO_2:	არ აღმოჩნდა
Cl^-	0.043	1.200	3	**აგრესიული CO_2:**	არ აღმოჩნდა
SO_4^{2-}	1.975	41.150	89	**ამონიუმი (NH_4^+):**	0.24 მგ/ლ
HCO_3^-	0.232	3.800	8	**ნიტრატი (NO_3^-) :**	არ აღმოჩნდა
ჯამი	**2.250**	**46.15**	**100**	**ნიტრიტი (NO_2^-) :**	არ აღმოჩნდა
M გ/ლ	**3.147**	კურლოვის ფორმულა		**მარილიანობა**	1.49 ppt
				ელ. წინაღობა	2.98 ppt
				TDS	2.01 ppt
				$M_{3.15}\frac{SO_4 89}{Ca64(Na+K)21Mg15}$	
ანალიზის შემსრულებელი:		თ. მიქავა		**თარიღი:**	27.11.2025

შპს წყალი და გრუნტი
ს/კ 436046574
ტელ.: +995 577 75 48 92
ელ-ფ: infowaterandsoil@gmail.com

WATER AND SOIL LLC
I/C 436046574
TEL.: +995 577 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com

წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

რიგითი №	გამონაშენების №	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	აგრესიულობის მაჩვენებლები	წყლის აგრესიულობის ხარისხი ნაგებობებისადმი					
				განლაგებულ ქანებში $K_ფ$>0.1 მ/დღ.ღ			განლაგებულ ქანებში $K_ფ$<0.1 მ/დღ.ღ		
				ბეტონის მარკა წყალშეღწევადობის მიხედვით					
				W4	W6	W8	W4	W6	W8
1		8.3	ბიკარბონატული სიხისტე, მგ.ექვ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			წყალბად-იონის მაჩვენებელი	არა	არა	არა	სუსტი	არა	არა
			აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ	-	-	არა	-	-	არა
			მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			მაღალი ტუტიანობის შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატები ბეტონებისათვის						
			პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76)	ძლიერი	ძლიერი	საშუალო	ძლიერი	საშუალო	სუსტი
			წიდაპორტლანდცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატმედეგი ცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა

გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

რიგითი №	გამონაშენების №	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე		გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1 მ/დღ.ღ
			მუდმივად წყალში	პერიოდულად დასველებით	
1		8.3	არა	საშუალო	საშუალო

ბრუნტების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

შენიშვნა: ბრუნტების კლასიფიკაცია ГОСТ-5180-84-ის მიხედვით

ობიექტის დასახელება	რიგითი ნომერი	ჭაბურღილის ნომერი	ნიმუშის სავლე ნომერი	ნიმუშის აღების სიღრმე, მ.	ნიმუშის სახე	ნიმუშის ლაბორატორიული ნომერი	ნიმუშის დასახელება ნომენკლატურის მიხედვით	ფიზიკური თვისებები														
								პლასტიკურობა			სიმკვრივე, გ/სმ³											
								დენადობის ზღვარი, W_L	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	პლასტიკურობის რიცხვი, I_P, %	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე ρ_s	ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტის, ρ	ჩონჩხის სიმკვრივე ρ_d	ტენიანობა, W	ფორიანობა, n	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, Wsaf	ტენიანობის ხარისხი, Sr	დენადობის მაჩვენებელი, I_L	მაჩვენებელი, Iss	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
ქ. თბილისი გარკვეთილის II მ/რ კლინიკის პროექტი ს/კ 01.19.20.002.026.	1	ჭაბ.№2	1	5,0	მონ.	576	თიხნარი	0,31	0,21	10	2,71	2,00	1,66	0,203	0,39	0,632	0,23	0,87	<0	0,13	
	2	ჭაბ.№3	1	7,0	მონ.	577	თიხნარი	0,35	0,24	11	2,71	1,93	1,62	0,192	0,40	0,673	0,25	0,77	<0	0,16	
	3	ჭაბ.№4	1	9,0	მონ.	579	თიხნარი	0,38	0,26	12	2,71	1,95	1,6	0,222	0,41	0,694	0,26	0,87	<0	0,20	

ლაბორატორიის უფროსი: /ნ. ხმელიძე/

შესრულების თარიღი 16.11.2025-24.11.2025

GEOINI 405655072 GEORGIA, "GEOINI" LLC

Natalia Khmelidze 01027050329

Digitally signed by Natalia Khmelidze
Date: 2025.11.24 14:08:08

დარღვეული სტრუქტურის ნიმუშების - მსხვილნატეხოვანი ქანები

შენიშვნა: ბრუნტების კლასიფიკაცია გოსტ-25100-82-ის მიხედვით

ობიექტის დასახელება	რიგითი ნომერი	გაბონაჟუშეცრის ნომერი	ნიმუშის სვეტის ნომერი	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ნიმუშის სახე	ნიმუშის ლაბორატორიული ნომერი	ნიმუშის დასახელება ნიმუნკტალურის მიხედვით	გრანულომეტრიული შემადგენლობა, % ფრაქციის ზომა, მმ										W_L	W_p	$I_{p\%}$
								>40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0,5	0,5-0,25	0,25-0,1	<0,1			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
ქ. თბილისი გარკვეთილის II მ/რ კლინიკის პროექტი ს/კ 01.19.20.002.026.	1	ჭაბ.№1	1	10,0	დარღვ.	575	კენჭნარი ქვიშის შემავსებლით	28,9	24,4	16,7	7,8	11,1	2,2	1,2	2,1	3,2	2,4	პლასტიკურობის ზღვარი არ აქვს		
	2	ჭაბ.№3	2	11,0	დარღვ.	578	კენჭნარი ქვიშის შემავსებლით	31,7	23,6	15,3	7,5	9,3	2,4	2	2,2	3,4	2,6	პლასტიკურობის ზღვარი არ აქვს		

ლაბორატორიის უფროსი: /ნ. ხმელიძე/

საქართველო. შპს "გეოინი" GEOINI 405655072 GEORGIA. "GEOINI" LLC

Natalia Khmelidze 01027050329

Digitally signed by Natalia Khmelidze
Date: 2025.11.24 14:07:12

შესრულების თარიღი: 16.11.2025-24.11.2025 წ.

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია ქალაქ თბილისში, ვარკეთილის II მიკრო რაიონში, განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.19.20.002.026., 7 სართულიანი მიწისზედა და 2 მიწისქვეშა კლინიკის პროექტის შედგენისთვის, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადების მიზნით, ამოღებული ქანის სინჯების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე.

შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოლოგიის
აკადემიური დოქტორი ნინო სადრაძე

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.11.24 19:29:31

თბილისი 2025 წ

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 21153,5-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ძვრაზე გამოცდით
5. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიშში წარმოდგენილია ორი ცალი კლდოვანი ქანის სინჯის ლაბორატორიული კვლევის შედეგები. შეიცავს: 5 გვერდს, 6 ცხრილს და 2 ნახაზს.

სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემსრულებელი პასუხს არ აგებს.

ცხრილი 1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	ჭაბურღილის №	სინჯის ამოღების სიღრმე, მ **H**	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, **K**	დრეკადობის მოდული წყალნაჯერ მდგომარეობაში, მეგპა **E**	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი **φ**	შეჭიდულობა, მეგპა **C**	სიმკვრივე, გ/სმ³ **ρ**
				გამომშრალ მდგომარეობაში, **Rd**	წყალნაჯერ მდგომარეობაში, **Rw**					
1	ქვიშაქვა	1	13.0	43.1	28.3	0.66	6333.9	27.0	7.2	2.46
2	ქვიშაქვა	3	15.0	70.7	49.4	0.70	10849.2	29.0	11.0	2.48

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	კლდოვანი, საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
2	კლდოვანი, საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი

შენიშვნა: 1 – *შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში, სიმტკიცის შემცირების მიხედვით, მესამე რეიტინგის;*
2-ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში, სიმკვრივის შემცირების მიხედვით, მეორე რეიტინგის.

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.11.24 19:29:55

ცხრილი 3- სიმკვრივე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	41.03	45.20	23.82	4.17	16.75	2.45
	2	41.01	45.19	23.87	4.18	16.67	2.46
2	1	40.34	44.45	23.55	4.11	16.33	2.47
	2	40.35	44.45	23.69	4.10	16.20	2.49

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის									
	№	სიგძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ²	მასშტაბ. კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, მეგპა	დრეკადობის მოდული, მეგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1.1	4.41	4.40	4.42	19.40	0.80	10280	43.2		გამომშრალი
	1.2	4.39	4.40	4.41	19.32	0.80	10185	43.0		
	1.3	4.41	4.40	8.81	19.40	1.00	5330	28.0	6333.9	წყალნაჯერი
	1.4	4.40	4.39	4.41	19.32	0.80	6775	28.6		
2	2.1	4.38	4.39	4.40	19.23	0.80	16570	70.3		გამომშრალი
	2.2	4.37	4.38	4.39	19.14	0.80	16665	71.0		
	2.3	4.38	4.39	8.77	19.23	1.00	9395	49.8	10849.2	წყალნაჯერი
	2.4	4.39	4.38	4.40	19.23	0.80	11555	49.0		

ცხრილი 5-ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე


ნიმუში № 1.3			ნიმუში № 2.3		
F	I	II	F	I	II
0	0	0	0	0	0
450	2	2	780	3	2
900	3	4	1560	5	4
1350	6	6	2340	8	7
1800	9	9	3120	11	10
2250	12	12	3900	14	13
2700	15	15	4680	17	16
3150	18	19	5460	20	19
3600	21	23	6240	23	22
4050	24	27	7020	26	25
4500	28	31	7800	30	29
4950	33	36	8580	35	34
5330	41	44	9360	41	40
			9395	49	48

შენიშვნა: *F-ძალა, კგძ; I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენება, დანაყოფი (ერთი დანაყოფი=0,01მმ-ს).*

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.11.24 19:30:17


ცხრილი 6- ძვრაზე გამოცდის პარამეტრები

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	ფართობი, სმ²	გამოცდის კუთხე, გრადუსი	მრღვევი ძალა, კგძ	ნორმალური ძაბვა, მეგპა	მხები ძაბვა, მეგპა	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი	შეჭიდულობა, მეგპა
1	1	4.11	4.10	16.85	30	1587	4.71	8.20	27.0	7.2
	2	4.12	4.11	16.93	30	1361	4.02	7.00		
	3	4.11	4.12	16.93	45	2634	11.10	11.10		
	4	4.11	4.11	16.89	45	2699	11.40	11.40		
2	1	4.11	4.12	16.93	30	3403	10.06	17.50	29.0	11.0
	2	4.12	4.11	16.93	30	2955	8.74	15.20		
	3	4.11	4.12	16.93	45	5909	24.90	24.90		
	4	4.12	4.11	16.93	45	5482	23.10	23.10		




ნახ. 1- ნორმალურ და მხებ ძაბვებს შორის დამოკიდებულების გრაფიკი. სინჯი 1

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.11.24 19:30:38



ნახ. 2- ნორმალურ და მხებ ძაბვებს შორის დამოკიდებულების გრაფიკი. სინჯი 2

Nino
Sadradze
01008013855
Digitally signed
by Nino Sadradze
Date: 2025.11.24
19:31:22



პირობითი აღნიშვნები

- ჭაბურღილი
- ჭრილი
- შენობის კონტური


ქალაქი თბილისი, ვარკეთილის II მ/რ ს.კ. 01.19.20.002.026 კლინიკის პროექტი ჭაბურღილების განლაგება ტოპო-გეგმაზე			სტადია მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ბ.დევდარიანი	1
			ფურც. რაოდ. 1
			მასშტაბი 1:500 მ.
			15-16.11.25

				5
				1

| | | |

ჭრილი I - Í

ს → ნ



ჭაბურღილის №	1	2
აბს. ნიშნული	499.8	499.9
მანძილი, მ	30.0	

პირობითი აღნიშვნები

1 — ნაყარი გრუნტი

2 — თიხნარი, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით

3 — კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით


4 — გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები

$\frac{8.5}{15.11.25}$ — $\frac{\text{დამყარებული დონე}}{\text{გაზომვის თარიღი}}$

ქალაქი თბილისი, ვარკეთილის II მ/რ ს.კ. 01.19.20.002.026 კლინიკის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			სტადია მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ზ.დევდარიანი	3
			ფურც.რაოდ. 5
			მასშტაბი 1:100 მ.

ჭრილი II - II′

ს ——→ ჩ



ჭაბურღილის №	3	4
აბს. ნიშნული	499.6	500.0
მანძილი, მ	30.0	

პირობითი აღნიშვნები

1 — ნაყარი ბრუნტი

2 — თიხნარი, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით

3 — კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით


4 — გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები

8.5 / 15.11.25 — დამყარებული დონე / გაზომვის თარიღი

ქალაქი თბილისი, ვარკეთილის II მ/რ ს.კ. 01.19.20.002.026 კლინიკის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			სტადია
			მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შეკვეთა
გეოლოგი		ზ.ლეკვლარიანი	3
			შეკვ.რაოდ.
			5
			მასშტაბი 1:100 მ.

ჭრილი III - III′

სდ → ჩა



ჭაბურღილის №	1		4
აბს. ნიშნული	499.8		500.0
მანძილი, მ		32.0	

პირობითი აღნიშვნები

1 — ნაყარი გრუნტი

2 — თიხნარი, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით

3 — კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით

4 — გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები

$\frac{8.5}{15.11.25}$ — $\frac{\text{დამყარებული დონე}}{\text{გაზომვის თარიღი}}$

ქალაქი თბილისი, ვარკეთილის II მ/რ ს.კ. 01.19.20.002.026 კლინიკის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			სტადია მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ზ.დევდარიანი	5
			ფურც.რაოდ. 5
			მასშტაბი 1:100 მ.

CV

LOT Nr. 1:

Title : Engineer-Geologist		
